

ცვლილებები ძალაშია **11.11.2025-დან**.

ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ „საბანკო მომსახურების პირობებში“ შევიდა შემდეგი ცვლილება-დამატებები:

საბანკო მომსახურების პირობებს დამატოს შემდეგი შინაარსის 18⁴ მუხლი:

მუხლი 18⁴. პრემიალური ბარათი

1. პრემიალური ბარათი არის მასტერქარდის სადებეტო პლასტიკური ბარათი - Mastercard Black Edition, უნიკალური მუდმივი პრივილეგიებით.

ბარათს გააჩნია შემდეგი უპირატესობები:

- მრავალფეროვანი ადგილობრივი და საერთაშორისო შეთავაზებები.
- უფასო განაღდება საქართველოში, ნებისმიერ ბანკომატში. საზღვარგარეთ პირველი განაღდება ყოველთვიურად უფასო 300 ევროს ექვივალენტ თანხაზე.
- აეროპორტის ლაუნჯებში წვდომა (Mastercard LoungeKey). მსოფლიოს მასშტაბით 1200-ზე მეტი ლაუნჯით სარგებლობა.
- პრიორიტეტული Fast Track მომსახურება.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე www.procreditbank.ge.

2. პრემიალური ბარათი არის Mastercard Black Edition ბარათი, რომლის მფლობელი შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი ფიზიკური პირი, რომელიც სარგებლობს საბანკო პროდუქტები „უნივერსალური აქტიური ანგარიში“-ს ან საბანკო პროდუქტების ნაკრები - „პრემიუმი“-ს მომსახურებით.

3. იმ შემთხვევაში თუ კლიენტი პრემიალური ბარათის შეკვეთის/მიღების შემდეგ შეიცვლის „უნივერსალური აქტიური ანგარიში“-ს ან „პრემიუმი“-ს მომსახურებას და აირჩევს აღნიშნულის გარდა სხვა რომელიმე მომსახურებას, ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად გააუქმდოს შეკვეთილი და/ან მიღებული ყველა პრემიალური ბარათი, რაც გამოიწვევს ყველა შესაბამისი უპირატესობებით სარგებლობის უფლების შეწყვეტას.

4. კლიენტზე პრემიალური ბარათების რაოდენობა არ არის შეზღუდული.

5. პირველი პრემიალური ბარათის შეკვეთა/მიღება კლიენტს შეუძლია უფასოდ. ყოველი მომდევნო პრემიალური ბარათის შეკვეთა/მიღება არის ფასიანი. პრემიალური ბარათის საფასური განისაზღვრება ტარიფებით, რომელიც განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე www.procreditbank.ge. კლიენტი ვალდებულია ყოველი მომდევნო პრემიალური ბარათის შეკვეთისას გაეცნოს ტარიფებს.

6. პრემიალური ბარათის გააქტიურების დროს ხდება კოდური კითხვა-პასუხის გააქტიურებაც.

7. პრემიალური ბარათზე ხდება მიმდინარე ანგარიშ(ებ)ის მიმაგრება და შესაძლებელია არაუმეტეს სამი ანგარიშის მიბმა, რომლ(ებ)იც შეიძლება წარმოდგენილი იყოს მაქსიმუმ სამ სხვადასხვა ვალუტაში (ლარი, აშშ დოლარი და ევრო). პრემიალურ ბარათზე მიბმული ანგარიშებიდან მხოლოდ ერთი ანგარიში არის ძირითადი, ხოლო დანარჩენი არის დამატებითი ანგარიშები. ძირითად და დამატებით საბარათე ანგარიშებს ირჩევს კლიენტი პრემიალური ბარათის გააქტიურების დროს და უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეცვალოს ძირითადი ანგარიში. ძირითადი და/ან დამატებითი ანგარიში შეიძლება იყოს მხოლოდ მიმდინარე ანგარიში.

8. პრემიალური ბარათით მომსახურებისთვის კლიენტს ბანკში გახსნილი უნდა ჰქონდეს და პრემიალური ბარათის ქონის მთელი ვადის განმავლობაში შეინარჩუნოს მიმდინარე ანგარიშ(ებ)ი შესაბამის ვალუტაში.